



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა

ფაკულტეტი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

„ბიზნესის ადმინისტრირება“

ქუთაისი

2011

1. პროგრამის სახელწოდება:

ბიზნესის ადმინისტრირება (Business Administration)

2. პროგრამის ხელმძღვანელი:

ნანა შონია, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ტელ.: 579165800, ელ-ფოსტა: nanashonia@gmail.com

კონცენტრაციების ხელმძღვანელები:

1. ფინანსები, საბანკო და სადაზღვევო საქმე - სერგო სვანაძე, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
2. მენეჯმენტი - ემზარ ჯულაყიძე, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
3. საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი - დალი სოლოლაშვილი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი;
4. აგრობიზნესის მენეჯმენტი - ნოდარ ხასაია, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი (Master of Business Administration)

4. პროგრამის მოცულობა:

120 კრედიტი, მათ შორის:

45 კრედიტი – ზოგადი სასწავლო კურსები,

15 კრედიტი – არჩევითი სასწავლო კურსები,

60 კრედიტი – არჩევითი კონცენტრაციები:

- ფინანსები, საბანკო და სადაზღვევო საქმე
- მენეჯმენტი
- საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი
- აგრობიზნესის მენეჯმენტი

კონცენტრაციის არჩევა ხდება მეორე სემესტრის დაწყებამდე. თითოეული კონცენტრაცია მოიცავს სამაგისტრო ნაშრომს(30 კრედიტი), პროფესიულ პრაქტიკას(5 კრედიტი) და სპეციალიზაციის სასწავლო კურსებს(25 კრედიტი).

სამაგისტრო ნაშრომის შესრულება დაყოფილია სამ ეტაპად:

1. პირველი ნაწილი 5 კრედიტის მოცულობით გათვალისწინებულია II სემესტრში,
2. მეორე ნაწილი (5 კრედიტი) - III სემესტრში და
3. მესამე ნაწილი (20 კრედიტი) - IV სემესტრში.

სამაგისტრო ნაშრომის ამ პრინციპით განაწილება ითვალისწინებს მაგისტრანტის კვლევითი უნარების განვითარებას და ნაშრომის ფარგლებში დასახული მიზნების მიღწევას ეტაპობრივად. შესაბამისად, ხორციელდება სამაგისტრო ნაშრომის შესრულებაზე მიმდინარე დაკვირვება და კონტროლი.

5. სწავლების ენა: ქართული

6. პროგრამის მიზანი - სამაგისტრო პროგრამის მიზანია ბიზნესის სფეროს თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხების სიღრმისეული შესწავლით სამეცნიერო კვლევისა და შემოქმედებითი მუშაობის უნარების მქონე მოაზროვნე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება.

აღნიშნული მიზნის მიღწევას უზრუნველყოფს შემდეგი საკითხების ღრმა და საფუძვლიანი შესწავლა: უმაღლესი სკოლის დიდაქტიკა და სამეცნიერო წერის საფუძვლები, ლიდერული უნარ-ჩვევების განვითარება, სამეურნეო სუბიექტების სტრატეგიული და ფინანსური მენეჯმენტი, ფინანსური აღრიცხვა და აუდიტის მარწმუნებელი საქმიანობა, ნებისმიერი სახის ბიზნეს სტრუქტურის მარკეტინგული კვლევები, საქართველოს სადაზღვევო ბაზრის რეგულირება და მართვა, კომერციული ბანკების სტრატეგიული, ფინანსური და ინოვაციური მენეჯმენტი, ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფუნდამენტალური და ტექნიკური ანალიზი, ინვესტიციური მენეჯმენტი და კომპანიის ფინანსური სტრატეგია, კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების მართვა, მმართველობითი გადაწყვეტილების შეფასების მეთოდები, აგრარული პოლიტიკა და აგრობიზნესის მენეჯმენტი. გარდა ამისა, ხელმძღვანელის მეთვალყურეობით ბიზნესის სფეროში საკონფერენციო და სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და პრეზენტაცია.

დასაქმების სფერო - ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის

კურსდამთავრებულები შეიძლება დასაქმდნენ ეკონომიკის დარგების, ნებისმიერი სახის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოებსა და ორგანიზაციებში, ფონდებსა და გაერთიანებებში საშუალო და მაღალი დონის ხელმძღვანელ თანამდებობებზე, კერძოდ:

1. სახელმწიფო სამსახურებსა და მათ შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებში;
2. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და კვლევით ინსტიტუტებში;
3. საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტებში;
4. კერძო სექტორის როგორც საფინანსო-ეკონომიკურ სამსახურებში, ისე სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელ პოზიციებზე;
5. აგროსექტორში

„ბიზნესის ადმინისტრირების“ პროგრამის კურსდამთავრებულის შემდგომ დასაქმებაზე და წარმატებული კარიერის ფორმირებაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მის მიერ პროგრამის ფარგლებში არჩეული კონცენტრაცია.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა - „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო პროგრამის წარმატებით გავლა კურსდამთავრებულს უქმნის მყარ საფუძველს სწავლების შემდგომ საფეხურზე - დოქტორანტურაში სწავლის გასაგრძელებლად.

7. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

1. მაგისტრატურაში მისაღები ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება;
2. მაგისტრატურაში მისაღები საუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარება სპეციალობაში;
3. ბიზნესის ადმინისტრირების, ეკონომიკის, ან ტურიზმის ბაკალავრის ხარისხის ან მასთან გათანაბრებული სტატუსის ფლობა;
4. ბიზნესის ადმინისტრირების, ეკონომიკის, ტურიზმის ან აგრობიზნესის minor პროგრამის ათვისება ბაკალავრიატში სწავლის დროს (პირებისათვის, რომლებიც არ შეესაბამებიან მე-3 პუნქტს).

8. მოსალოდნელი შედეგები:

ცოდნა/გაცნობიერება

კურსდამთავრებული ღრმად და საფუძვლიანად არის დაუფლებული უმაღლესი სკოლის დიდაქტიკას, სწავლა/სწავლების თანამედროვე მეთოდებს, ლიდერულ უნარ-ჩვევებს, სამეცნიერო წერის საფუძვლებს, მარკეტინგული კვლევის მეთოდებს, ქვეყნის საგადასახადო-საბაჟო და აგრარული პოლიტიკას, კომპანიის სტრატეგიის შემუშავების მეთოდებსა და პრინციპებს, ბიზნეს პროცესების ფინანსური აღრიცხვას, შეფასებას და მონაცემების ანალიზს.

ფინანსები, საბანკო და სადაზღვევო საქმის კონცენტრაციით - მაგისტრანტი სიღრმისეულად არის დაუფლებული სადაზღვევო ბაზრის როლს ბიზნესის მართვაში, მენეჯმენტის როლს კომერციული ბანკების მოგების მაქსიმიზაციის პრინციპის სრულყოფაში, საერთაშორისო სავალუტო-საკრედიტო ურთიერთობების როლს საკუთარი ბიზნესის დაწყება-წარმართვაში, ფასიანი ქაღალდების ეროვნული და საერთაშორისო ბაზრების ფუნქციონირების სპეციფიკასა და მათ მნიშვნელობას ბიზნესის მართვაში, სახელმწიფო და მუნიციპალური ფინანსების მართვას და ა.შ.

მენეჯმენტის კონცენტრაციით - გაცნობიერებული და შესწავლილი აქვს სხვადასხვა სახის რისკების გამოვლენის, შეფასებისა და მართვის მეთოდები, კონფლიქტების და მოლაპარაკებების როლი ბიზნეს სფეროში, საწარმოო პროცესის მართვის ტექნიკა და ტექნოლოგია, ბიზნეს-რისკების მართვის სპეციფიკა საერთაშორისო კორპორაციებში.

საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტის კონცენტრაციით - შესწავლილი აქვს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები და საკანონმდებლო ნორმატიული ბაზა, საწარმოთა სამეურნეო ოპერაციებისა და მოვლენების შეფასებისა და ბუღალტრულად დამუშავების კანონზომიერება; აუდიტის ძირითადი საკითხები, შიდა კონტროლისა და შიდა აუდიტის პრინციპები, საფინანსო კონტროლისა და აუდიტორული საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები და დავათა გადაწყვეტის მექანიზმები.

აგრობიზნესის მენეჯმენტის კონცენტრაციით - შესწავლილი აქვს აგრობიზნესის სფეროში მიმდინარე მოვლენები და მასზე მომქმედი ეკონომიკური კანონები, აგროსექტორში საწარმოო რესურსების რაციონალური გამოყენების და ეკონომიკური ეფექტიანობის გაზრდისათვის აუცილებელი კომპლექსური ღონისძიებების განხორციელების ხერხები და მეთოდები. აგრობიზნესის მენეჯმენტისა და აგრარული სექტორის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის საკითხები, მიწის რესურსების მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მარკეტინგი.

გაცნობიერებული აქვს აგრობიზნესის უდიდესი მნიშვნელობა ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის, რეალური ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის შენარჩუნების საქმეში.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება

კურსდამთავრებულს შეუძლია მარკეტინგული კვლევების საფუძველზე წარმატებული ბიზნეს-სტრატეგიების შემუშავება, ბიზნესის ქვეყნის პოლიტიკურ და სოციალურ გარემოსთან ადაპტირება, ინვესტიციების ეფექტიანი მართვა, წარმატებული გუნდების ლიდერობა, მართვა და წევრობა, მეცნიერული კვლევების ჩატარება ბიზნესის ადმინისტრირებაში, თეორიული ცოდნის პრაქტიკაში რეალიზების უნარი, საერთო-სახელმწიფოებრივ და რეგიონულ დონეზე აგრარული პოლიტიკის შემუშავება და მათ რეალიზაციაში მონაწილეობის მიღება.

ფინანსები, საბანკო და სადაზღვევო საქმის კონცენტრაციით - კურსდამთავრებულს თავისუფლად შეუძლია ვალუტისა და ფასიანი ქაღალდების კურსის პროგნოზირება და გარიგებების დადება, სამეცნიერო კვლევითი ნაშრომის დამოუკიდებლად შესრულება და დემონსტრირება, რეკომენდაციებისა და ეფექტური წინადადებების შემუშავება და შეთავაზება ინოვაციებით დაინტერესებული კომპანიებისათვის, მოსალოდნელი ტრენდების და

შესაძლებლობების შეფასება და მათზე რეაგირება, ქვეყნის საგადასახდელო ბალანსის წაკითხვა და შეფასება.

მენეჯმენტის კონცენტრაციით- შეუძლია რისკების გამოვლენა, ანალიზი, შეფასება და მართვა, კონფლიქტების გადაწყვეტისა და მოლაპარაკებების წარმატებულად წარმართვა, საწარმოს მისიის სწორი განსაზღვრა და მიზნების ჩამოყალიბება, ოპტიმალური ორგანიზაციული სტრუქტურის შექმნა, არსებული ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზი და საწარმოს მართვის პრობლემების გადაჭრისათვის ოპტიმალური მეთოდების შერჩევა, ფირმის განვითარების სტრატეგიის მომზადება და მათი აღსრულება.

საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტის კონცენტრაციით - შეუძლია სამეურნეო სუბიექტის ფინანსური და ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზი, გლობალიზაციის პროცესში ბიზნეს ორგანიზაციების საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობაზე მაკრო და მიკროეკონომიკური ფაქტორების ზეგავლენის განსაზღვრა და შესაბამისი სტრატეგიების შემუშავება, ფინანსური მართვა და კონტროლი კომპონენტების: კონტროლის გარემოს, რისკის მართვის, კონტროლის ღონისძიებების, ინფორმაციისა და კომუნიკაციის, სისტემის მონიტორინგისა და შეფასების გზით, ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის სრულყოფისა და განვითარებისათვის თეორიული და პრაქტიკული წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება და მათი პრაქტიკულად რეალიზაციის უნარი.

აგრობიზნესის მენეჯმენტის კონცენტრაციით - შეუძლია სწრაფად გაერკვეს აგრობიზნესის სფეროში მიმდინარე ეკონომიკურ მოვლენებსა და პროცესებში. ინფორმაციის უკმარისობის პირობებში მოძებნოს არსებული პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზები და მიიღოს ოპტიმალური გადაწყვეტილება. ხელმძღვანელთან შეთანხმებისა და კონსულტაციის საფუძველზე დამოუკიდებლად წარმართოს აგრობიზნესის სფეროში სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა. შეუძლია აგრობიზნესის მენეჯმენტის უახლესი მეთოდების გამოყენება, აგრარულ სექტორში სამეურნეო რისკების შეფასება. მიწის რესურსების მართვა და საადგილმამულო ურთიერთობათა რეგულირება. საწარმოო რესურსების რაციონალურად და ეკონომიკურად ეფექტიანად გამოყენება. აგრობიზნესის საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურეობა. მარკეტინგული საქმიანობის ორგანიზაცია აგრარულ სექტორში, სასურსათო პროდუქტების რეალიზაციის საშინაო და საგარეო ბაზრების მოძიება და საერთაშორისო აგროეკონომიკური ურთიერთობების დამყარება. აგრობიზნესის განვითარების ბიზნეს-გეგმის შედგენა და განხორციელება .

დასკვნის უნარი - კურსდამთავრებული ახდენს ბიზნეს სფეროს შესახებ რთული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული აუდიტორული დასკვნების ჩამოყალიბებას და უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციურ სინთეზს.

კომუნიკაციის უნარი - ახდენს ბიზნეს სფეროს შესახებ კვლევის შედეგების(ზეპირი და წერილობითი ფორმით) წარდგენას აკადემიური და პროფესიული წრეების წინაშე (აკადემიური ეთიკის პრინციპების დაცვით), მ.შ. საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გამოყენებით როგორც მშობლიურ, ისე უცხო ენაზე.

სწავლის უნარი - შეუძლია სწავლა/სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით ბიზნეს სფეროს დამოუკიდებლად შესწავლა და კვლევა, დაუფლებულია სწავლის პროცესის თავისებურებებს, კრიტიკულად უდგება შესწავლილ საკითხებს, ახდენს ალტერნატიული მიდგომების რანჟირებას და იყენებს მოდელირების მეთოდს კვლევის დასაბუთების მიზნით;

ღირებულებები - შეუძლია სხვადასხვა სახის ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა, კერძოდ:

- აფასებს სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ვალდებულებებს, მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას, ბიზნესგარემოში ურთიერსარგებლიანობის პრინციპს და ბიზნესეთიკის ნორმებს;
- ახდენს საკუთარი მიღწევების თვითკრიტიკულ და სხვათა შესაძლებლობებისა და მიღწევების რეალურ შეფასებას და პატივისცემას, ახალი ღირებულებების დამკვიდრებას ბიზნეს სფეროსა და სახელმწიფო დაწესებულებებში.
- ავლენს როგორც გუნდური, ისე ინდივიდუალური სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის უნარს

9. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება შემდეგი მეთოდები: ლექცია, მინი ლექცია სემინარი, პრაქტიკული სიტუაციების ანალიზი და სიმულაციები, საქმიანი თამაშები, გონებრივი იერიში, მოზაიკა, პროვოცირება, ვენის დიაგრამა, აზრობრივი რუკა, ვიცოდი-მინდა ვიცოდე-ვისწავლე, პროვოცირება, მოლოდინის ხე.

მიღწეული სწავლის შედეგების გაზომვისას გამოიყენება როგორც მაფორმირებელი ისე შემაჯამებელი შეფასების ფორმები - საშინაო დავალებები, ტესტები, ზეპირი და წერიტი გამოცდა, პრეზენტაცია, ესეები, ქვიზები, სიტუაციური ამოცანები, პროვოცირება, წყვილებში მუშაობა, აკვარიუმი, პორტფოლიო, პროფესიული პრაქტიკის ანგარიშები, საკონფერენციო და სამაგისტრო ნაშრომები და სხვა.

- სწავლის სასურველი შედეგის მიღწევის პროცესის მართვისათვის შესაძლებელია სტუდენტმა დამატებით მიმართოს პედაგოგს (საკონსულტაციო დრო მითითებულია ცალკეული კურსის სილაბუსში).

10. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.
2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:
 - ა) შუალედურ შეფასებას;
 - ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.
3. სასწავლო კურსის ათვისების მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.
4. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.
5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა მაგისტრს, თუ მას შუალედურ შეფასებებზე მინიმუმ 11 ქულა აქვს, ხოლო კურსი ათვისებულად ითვლება, თუ მაგისტრის საბოლოო შეფასება მეტია 51- ზე.
6. შეფასების სისტემით დასაშვებია:
 - ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

- ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- ა.ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

- ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
 - ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
7. მე-6 პუნქტით გათავისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.
 8. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.

სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება სასწავლო კურსების, პროფესიული პრაქტიკისა და სამაგისტრო ნაშრომების სილაბუსებით.

11. სასწავლო გეგმა

№	კურსის დასახელება	კრ	დატვირთვის მოცულობა, სთ-ში			ლ/პ/ჯგ	სემესტრი			
			სულ	საკ	დამ		I	II	III	IV
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
I. ზოგადი სასწავლო კურსები										
I.1	უმაღლესი სკოლის დიდაქტიკა	5	125	36	89	0/0/3	x			
I.2	ლიდერული უნარ-ჩვევების განვითარება	5	125	36	89	1/0/2	x			
I.3	ფინანსური მენეჯმენტი	5	125	36	89	1/0/2	x			
I.4	მარკეტინგული კვლევები	5	125	36	89	1/0/2	x			
I.5	სტრატეგიული მენეჯმენტი	5	125	36	89	1/0/2	x			
I.6	საგადასახადო-საბაჟო პოლიტიკა	5	125	45	80	1/0/2		x		
I.7	ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები	5	125	45	80	1/0/2		x		
I.8	აგრარული პოლიტიკა	5	125	45	80	1/0/2		x		
I.9	ინვესტიციური მენეჯმენტი და კომპანიის ფინანსური სტრატეგია	5	125	45	80	1/0/2			x	
სულ		45	1125	360	765					
II. არჩევითი სასწავლო კურსები *										
II.1	სამეცნიერო წერის საფუძვლები	5	125	36	89	1/0/2	x			
II.2	ბიზნეს უცხო ენა 1	5	125	36	89	0/0/3	x			
II.3	აღრიცხვის თავისებურებანი დარგების მიხედვით	5	125	36	89	1/0/2	x			
II.4	PR მენეჯმენტი	5	125	36	89	2/0/1	x			
II.5	აგრობიზნესის დაგეგმვა	5	125	36	89	1/0/2	x			
II.6	ბიზნეს უცხო ენა 2	5	125	45	80	0/0/3		x		
II.7	კორპორაციული ანგარიშგება	5	125	45	80	1/0/2		x		
II.8	ხარისხის მენეჯმენტი	5	125	45	80	2/0/1		x		
II.9	რისკების მართვა აგრობიზნესში							x		
II.10	გადაწყვეტილების მიღების რაოდენობრივი მეთოდები ეკონომიკასა და ბიზნესში	5	125	45	80	1/0/2		x		

II.11	ფინანსური ეკონომიკა	5	125	45	80	1/0/2			x	
II.12	ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი	5	125	45	80	2/0/1			x	
II.13	აგროსაწარმოთა ეკონომიკა	5	125	45	80	2/0/1			x	
II.14	არაკომერციული ორგანიზაციების მენეჯმენტი	5	125	45	80	2/0/1			x	
სულ		15	125	126	249					
III. არჩევითი კონცენტრაციები **										
III. 1	ფინანსები, საბანკო და სადაზღვევო საქმე									
III. 1.1	საბანკო მენეჯმენტი	5	125	45	80	1/0/2		x		
III. 1.2	სანაგისტრო ნაშრომი 1***	5	125	10	115			x		
III. 1.3	საქართველოს თანამედროვე სადაზღვევო ბაზარი	5	125	45	80	1//0/2			x	
III. 1.4	საერთაშორისო სავალუტო-საკრედიტო ურთიერთობები	5	125	45	80	1/0/2			x	
III.1.5	სახელმწიფო და მუნიციპალური ფინანსები	5	125	45	80	1/0/2			x	
III.1.6	სამაგისტრო ნაშრომი 2	5	125	10	115	1/0/2			x	
III.1.7	ფასიანი ქაღალდების ბაზარი	5	125	45	125	1/0/2				x
III.1.8	პროფესიული პრაქტიკა	5	125	-	125					x
III.1.9	სამაგისტრო ნაშრომი 3	20	500	10	490					x
სულ		60								
III. 2	მენეჯმენტი									
III. 2.1	რისკ-მენეჯმენტი	5	125	45	80	2/0/1		x		
III. 2.2	სამაგისტრო ნაშრომი 1	5	125	10	115			x		
III. 2.3	საწარმოო მენეჯმენტი	5	125	45	80	1/0/2			x	
III. 2.4	კონფლიქტების და მოლაპარაკების მართვა	5	125	45	80	1/0/2			x	
III. 2.5	საერთაშორისო ბიზნესი გლობალურ გარემოში	5	125	45	80	2/0/1			x	
III. 2.6	სამაგისტრო ნაშრომი 2	5	125	10	115				x	
III. 2.7	მმართველობითი გადაწყვეტილების შეფასების მეთოდები	5	125	45	80	1/0/2				x
III. 2.8	პროფესიული პრაქტიკა	5	125		125					x
III. 2.9	სამაგისტრო ნაშრომი 3	20	500	10	490					x
სულ		60								
III. 3	საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი									

III. 3.1	მმართველობითი აღრიცხვა	5	125	45	80	1/0/2		x		
III. 3.2	სამაგისტრო ნაშრომი 1	5	125	10	115			x		
III. 3.3	საწარმოს ინვესტიციური და ინოვაციური საქმიანობის ეფექტურობის ანალიზი	5	125	45	80	1/0/2			x	
III. 3.4	ფინანსური კონტროლი	5	125	45	80	1/0/2			x	
III. 3.5	საფინანსო და საგადასახადო სამართალი	5	125	45	80	1/0/2			x	
III. 3.6	სამაგისტრო ნაშრომი 2	5	125	10	115				x	
III. 3.7	აუდიტი და მარწმუნებელი საქმიანობა	5	125	45	80	1/0/2				x
III. 3.8	პროფესიული პრაქტიკა	5	125		125					x
III. 3.9	სამაგისტრო ნაშრომი 3	20	500	10	490					x
სულ		60								

III. 4	აგრობიზნესის მენეჯმენტი									
III. 4.1	მიწის რესურსების მართვა	5	125	45	80	1/0/2		x		
III. 4.2	სამაგისტრო ნაშრომი 1	5	125	10	115			x		
III. 4.3	სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მარკეტინგი	5	125	45	80	2/0/1			x	
III. 4.4	აგროსექტორის საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები	5	125	45	80	2/0/1			x	
III. 4.5	საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურება აგრობიზნესში	5	125	45	80	1/0/2			x	
III. 4.6	სამაგისტრო ნაშრომი 2	5	125	10	115				x	
III. 4.7	აგრობიზნესის მენეჯმენტი	5	125	45	80	1/0/2				x
III. 4.8	პროფესიული პრაქტიკა	5	125		125					x
III. 4.9	სამაგისტრო ნაშრომი 3	20	500	10	490					x
სულ		60								

* არჩევითი სასწავლო კურსებიდან მაგისტრი თითოეულ სემესტრში ირჩევს ერთს.

** შეთავაზებული არჩევითი კონცენტრაციებიდან მაგისტრი მეორე სემესტრის დასაწყისში ირჩევს ერთს.

***ყველა კონცენტრაციისათვის „სამაგისტრო ნაშრომი“ – II და III სემესტრში შეადგენს 5-5 კრედიტს (თითოეულ სემესტრში საკონტაქტო-10 სთ. და დამოუკიდებელი - 115 სთ.), ხოლო IV სემესტრში - 20კრედიტს (სკ.-15 სთ. და დამ.- 360 სთ.).

12. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ:

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსებით(ადამიანური რესურსების შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია იხილეთ თანდართულ სილაბუსებში).